ევროპის დროით

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ივნისი 2011 N6 (28)

საქართველო–ევროკავშირი. მიმდინარე პროცესები და გამოწვევები

ივნისში ევროკომისიამ საქართველოს მიერ 2010 წლის ENP-ის გეგმის შესრულების შესახებ შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა

ევროკომისიის 2010 წლის ENP-ის გეგმის შესრულების შესახებ შუალედური ანგარიშის თანახმად, 2010 წლის ENP-ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების განხორციელების კუთხით საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.
ანგარიშში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვან პროგრესს ჰქონდა ადგილი სასამართლო სისტემის რეფორმაში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ისეთი საგულისხმო ცვლილება, როგორიცაა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. გარდა ამისა, ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც დაინერგა ნაფიცმსაჯულთა სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებზე.
ანგარიშის მიხედვით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხითაც. 2010 წლის ოქტომბერში მიღებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, კერძოდ, პრეზიდენტის ძალაუფლების შემცირებამ, პარლამენტის როლის გაზრდამ და სასამართლოს ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაძლიერებამ უზრუნველყო ხელისუფლების შტოებს შორის კონტროლისა და ბალანსის სისტემის შემდგომი სრულყოფა.
ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2010 წელს გაიზარდა სახალხო დამცველის უფლებები, რომ იგი ეფექტურად განაგრძობს დამოუკიდებელ მონიტორინგს ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ხელისუფლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი ფუნქციების განხორციელებაში, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო მისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფა. გაიზარდა ქალთა უფლებებიც. 2010 წლის მარტში პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაძლიერებას და ხელისუფლების მხრიდან გენდერთან დაკავშირებულ საკითხთა დაგეგმარებასა და დაფინანსებას.
2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გახორციელებული აგრესიისა და გლობალური კრიზისის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა გაუმჯობესების ტენდენციას. კერძოდ, ქვეყანამ შეძლო შეენარჩუნებინა ფრთხილი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის პოზიცია და მიაღწია პროგრესს გაცვლითი კურსის მოქნილობის ზრდის მიმართულებით.
ანგარიშის თანახმად, მიუხედავათ იმისა რომ ENP-ის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის საქართველო ძალისხმევას არ იშურებს, მან კიდევ უფრო უნდა სრულყოს დემოკრატია, განსაკუთრებით პოლიტიკური და მედია პლურალიზმის კუთხით. უმცირესობების უფლებები და მათი ინტეგრაცია რჩება სივრცედ, სადაც ხელისუფლების მხრიდან უფრო მეტი აქტივობის გამოჩენაა საჭირო. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება აგრეთვე ისეთი სფეროები, როგორიცაა ასოციაციების თავისუფლება, შრომის უფლებები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის განვითარება და სიღარიბის დაძლევა.
თუ ევროკომისიის ანგარიშებს ENP-ის შესრულებასთან დაკავშირებით დინამიკაში განვიხილავთ, ცხადად დავინახავთ, რომ საქართველომ 2010 წელს განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. ყოველივე ეს, ცხადია, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებს ევროკავშირში, კერძოდ _ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებების ინტენსიფიკაციას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებას და სხვა იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გემით არის გათვალისწინებული.

უახლესი ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების შესახებ

წყარო: grn.ge

არჩილ ყარაულაშვილი, ევროპულ და ევრო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის სამსახურის უფროსი .
“დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებაზე ჩატარებულია მოლაპარაკებების 5 რაუნდი. მოლაპარაკებები კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობს და ამ ეტაპზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი,. კერძოდ, მოლაპარაკებების პროცესში გახსნილია:

- სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების თავები, რომელთა უდიდესი ნაწილი უკვე შეთანხმებულია;
- შეთანხმების პრეამბულის, პოლიტიკური დიალოგის, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თავები;
- სექტორული თანამშრომლობის ნაწილის 19 თავი, აქედან უკვე შეთანხმებულია ტექსტის 12 თავი.

მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი ბრიუსელში გაიმართება ამა წლის 11-12 ივლისს.”

ევროკალენდარი

11-12. 07
ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მეექვსე რაუნდი.
ბრიუსელი. ბელგია.

21-23.07
კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“
ბათუმი. საქართველო.

საკონტაქტო ინფორმაცია:
საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
ტელ.: (995 32) 2 28 17 08; (995 32) 2 28 13 92
ელ-ფოსტა: europa@parliament.ge

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 2 28 13 29
ელ-ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

ივნისის დაიჯესტი

წყარო: hliworldwatch.org

ევროკავშირი უნგრეთში აბორტის წინააღმდეგ კამპანიას აფინანსებს

ევროკავშირმა უნგრეთში აბორტის წინააღმდეგ კამპანიისათვის ფინანსები გამოჰყო, რამაც ცალკეული წევრი-ქვეყნების უკმაყოფილება გამოიწვია. მიაჩნიათ, რომ არასწორი მიმართულებით იხარჯება მათ მიერ ევროკავშირის უმუშევრობის და სოციალური სოლიდარობის პროგრამისათვის გამოყოფილი 416 000 ევრო. უნგრეთს სურდა ეს თანხა გამოეყენებინა ბუდაპეშტის მიწისქვეშა ტრანსპორტში სარეკლამო პოსტერებისათვის, რომლებზეც გამოსახული იქნებოდა ემბრიონი, რომელიც დედას ასე მიმართავს: "მესმის, რომ ჩემთვის მზად არ ხარ, მაგრამ ნუ მომკლავ, გამაშვილე!"
8 ივნისს ფრანგმა სოციალისტმა სილვი გუილომმა განცხადა, რომ აბორტის წინააღმდეგ კამპანია არ შეესაბამება ევროპის სტანდარტებს და ამიტომ თანხების გამოთხოვა აუცილებელია.
უნგრეთს მიაჩნია, რომ ეს კამპანია მიზნად ისახავს შვილად აყვანის პოპულარიზაციას და ეხება მხოლოდ იმ ქალებს, ვინც აბორტს იკეთებენ იმის გამო, რომ ბავშვის გაზრდის საშუალება არ აქვთ. ამასთანავე უნგრეთი აცხადებს, რომ ბრიუსელი ამ მოსაზრებას არ გაიზიარებს, ქვეყანა მზადაა თვითონ დააფინანსოს აღნიშნული კამპანია. პოსტერების შინაარსმა ქალთა უფლებათა დამცველები აღაშფოთა. უკანასკნელი გამოკითხვებით უნგრეთის მოსახლეობის 60% აბორტის მომხრეა.

ევროკომისია: უნდა გაიზარდოს ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დაფინანსება

30 ივნისს ევროკომისიამ მიიღო კომუნიკე მომავალი 2014 – 2020 წლების ფინანსური ჩარჩო-პროგრამის ბიუჯეტის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტისათვის (ENI) 16,1 მილიარდი ევრო უნდა გამოიყოს. ამ ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში ახალი დაფინანსება სამეზობლო პოლიტიკისათვის 40%-ით გაიზრდება. ევროკავშირის კომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ განაცხადა: "დღეს ევროკომისია ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის დაფინანსების 4,7 მილიარდი ევროთი გაზრდის ინიციატივით გამოდის. დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირის მიერ ჩვენი სამხრეთისა და აღმოსავლეთის პარტნიორების მხარდაჭერა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებისა და ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების გაუმჯობესებისათვის. დაფინანსების ეს მნიშვნელოვანი ზრდა ჩვენი სამეზობლოს მიმართ ჩვენ მხარდაჭერასა და ევროკავშირისათვის მისი მნიშვნელობის ზრდას ასახავს".
მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს ფართო საბიუჯეტო მიმართულებას 2013 წლის შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის და ასევე შეიცავს წინადადებებს ახალი მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო დოკუმენტისათვის (MFF). შემდეგი ნაბიჯი იქნება
ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამომავალო ინსტრუმენტების შესახებ საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი, რომლის მიღება 2011 წლის დეკემბერშია დაგეგმილი.

საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის თანადაფინანსებით ნიქოზი და სალთვისი სარწყავი წყლით მომარაგდება

ივნისის შუა რიცხვებში ნიქოზის წყლის სატუმბ სადგურზე ნიქოზისა და სალთვისის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად დაიწყო საინჟინრო სამუშაოები - მილების დამონტაჟება და სხვა ტექნიკური ღონისძიებები. პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის თანადაფინანსებით, საიდანაც, ევროკავშირის წილი 800 000 ევროს შეადგენს. პროექტს ახორციელებს ეუთო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად.
ცერემონიის დროს აღინიშნა ამ პროექტის სამეურნეო და ჰუმანიტარული მნიშვნელობა კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობისათვის.

დიალოგი ბრიუსელში ადამიანის უფლებებათა დაცვის საკითხებზე

2011 წლის 20 ივნისს ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაიმართა დიალოგის მეოთხე რაუნდი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე. ევროკავშირი ადამიანის უფლებების თაობაზე დისკუსიებს მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოსთან ახორციელებს. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე, ევროკავშირის დელეგაციას – ევროკავშირის საგარეო სამსახურის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის, ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროსი რიინა კიონკა.
დიალოგი ექსპერტების დონეზე ღია და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. განხილულ იქნა ორმხრივი ინტერესისა და აქტუალური საკითხების ფართო სპექტრი, ასევე კონკრეტული თანამშრომლობის შესაძლებლობები. კერძოდ, საუბარი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული კანონმდებლობა, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, არჩევნები და საარჩევნო კანონმდებლობა, გამოხატვისა და ინფორმაციის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის - სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება; უმცირესობათა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და ვითარება ადამიანის უფლებების თვალსაზრისით აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი, საქართველო. ასევე განიხილეს ადამიანის უფლებათა საკითხებზე თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ გაეროს, ეუთოს და ევროსაბჭოს ფარგლებში. ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ ადამიანის უფლებათა დიალოგის მორიგი რაუნდის წინ ევროკავშირსა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით სემინარის ჩატარებაზე.

წყარო: euobserver.com

საბერძნეთის საკითხთზე შეთანხმების გზები ნაპოვნია

ევროკავშირის ფინანსთა მინისტრებმა ბრიუსელში საგანგებო შეხვედრაზე ცენტრალურ ევროპულ ბანკსა და გერმანიას შორის უთანხმოების საკითხი - საბერძნეთისათვის გამოყოფილ დახმარების, კერძოდ, ობლიგაციების მფლობელთა სამომავლო ქმედების განსაზღვრის საკითხი განიხილეს. გერმანიის თანახმად, უნდა მოხდეს არსებული ობლიგაციების შეცვლა 7 წლის განმავლობაში განაღდებად ობლიგაციებად. ეს საბერძნეთს ვალის დასაფარავად უფრო მეტ დროს მისცემს.
ცენტრალური ევროპული ბანკის გეგმა კი, რომელსაც მხარს უჭერენ ევროკომისია და საფრანგეთი, ობლიგაციების განაღდების და ვალის დაფარვის სხვაგვარ მეთოდს გულისხმობს, რომლის მიხედვითაც ობლიგაციის მფლობელებს შეუძლიათ ვალი მაშინ დაფარონ, როდესაც საკუთარი ობლიგაციების განაღდებას მოახერხებენ. ცენტრალურ ევროპულ ბანკს მიაჩნია, რომ გერმანიის გეგმა ეკონომიკურ ბაზარზე ქაოსს გამოიწვევს.
ბელგიის ფინანსთა მინისტრის - დიდიენ რეინდერსის თქმით, იძულებითი გეგმა, რომელსაც გერმანია ემხრობა, შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს არა მხოლოდ საბერძნეთისათვის, არამედ მომვალში პორტუგალიისა და ირლანდიისათვისაც. ცენტრალური ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატს მარიო დრაგს ასევე სახიფათოდ მიაჩნია იძულებითი ღონისძიებები. იგი ემხრობა ე.წ. ვენის ინიციატივას ვალის ნებაყოფლობითი გადახდის შესახებ.

გამოყენებული წყაროები:

http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm
www.euractiv.com; www.euobserver.com;
www.europeanvoice.com

საინტერესოა:

წყარო: European Council Press center

ჰერმან ვან რომპეი:

"ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ შეგახსენოთ ევროკავშირის პოზიცია საქართველოს უსაფრთხოების, სტაბილურობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი უწყვეტი მხარდაჭერისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების და მისი თანმხლები ღონისძიებების სრული განხორციელების შესახებ," განაცხადა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ თავის სიტყვაში 10 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდში ევროკავშირი–რუსეთის სამიტის დასასრულს რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან და ევროკომისიის პრეზიდენტთან ჟოზე მანუელ ბაროზოსთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.
9 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირი–რუსეთის სამიტის შესახებ, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, რუსეთს მოუწოდებს „პატივი სცეს იმ შეთანხმებებს, რომელსაც ხელი მოაწერა, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ყველა ვალდებულება და დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები საქართველოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, ასევე უზრუნველყოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლა ამ ტერიტორიებზე".
რეზოლუცია ასევე მოუწოდებს ევროკომისიას, "დაარწმუნოს რუსეთი შეწყვიტოს პასპორტების გაცემა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისთვის".

კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა"

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თაოსნობით მიმდინარე წლის 21-23 ივლისს ბათუმში გაიმართება VIII საერთაშორისო კონფერენცია `საქართველოს ევროპული გზა~, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი-ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტების მაღალი დონის წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, თბილისის მერი, სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანლები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

კონფერენცია მიეძღვნება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობას (EaP), მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებას, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხოებას, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების, ვაჭრობისა და ინვესტიციების, სავიზო ურთიერთობების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის საკითხებს.

ევროსტატისტიკა

ევროპელთა დამოკიდებულება ტურიზმის მიმართ

გასულ თვეში ევრობარომეტრმა გამოაქვეყნა 2010 წლის სტატისტიკური მონაცემები ტურიზმის მიმართ ევროპელთა დამოკიდებულების შესახებ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 30 000 რესპოდენტმა ევროკავშირის 27 წევრი და 5 არაწევრი (თურქეთი, ხორვატია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, ნორვეგია, ისლანდია) ქვეყნიდან.
შედეგებმა აჩვენა, რომ 2010 წლის მანძილზე გამოკითხულთა 73%-ს პირადი ან სამსახურეობრივი მიზნით ერთხელ მაინც მოუწია მოგზაურობა.
მოგზაურობის მოყვარულთა 36%-მა მოტივაციის ძირითად მიზნად "დასვენება და რეკრეაცია" დაასახელა. აქედან 18% ამისათვის ირჩევდა "ზღვა/მზის" ტიპის დასასვენებელ ადგილებს. თითქმის ყველა გამოკითხულ ქვეყანაში ახალი ტურისტული მარშრუტების მოყვარულთა რიცხვი აღემატებოდა ტრადიციული დასვენების მიმდევართა რიცხვს. ამ მხრივ ახალი ტურისტული ადგილების მიმდევართა ყველაზე დიდი მაჩვენებელი იყო ისლანდიაში (43%), ნორვეგიასა (44%) და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში (44%). ევროპელთა 36%–მა აღნიშნა, რომ არატრადიციული ტურისტული ადგილების მონახულება საშუალებას იძლევა, გაეცნონ ადგილობრივ კულტურასა და ცხოვრების წესს და ამავე დროს ასეთი ადგილები ფინანსურადაც მიმზიდველია (ფასის/ხარისხის შეფარდებით).
დასასვენებელი ადგილების შერჩევისას ევროპელთა 32%-მა უპირატესობა კარგ ადგილობრივ გარემოს მიანიჭა, 27%-მა ამ ადგილის კულტურულ მემკვიდრეობასა და ისტორიულ ღირებულებას და მხოლოდ 14%-მა იქ არსებულ გართობის საშუალებებს.
ადგილის შერჩევისას, 58%-ის აზრით, გადამწყვეტი იყო მათი ნაცნობების რეკომენდაცია, ხოლო 45%-მა კი საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით მიიღო.
დასასვენებელ ადგილებში გასამგზავრებლად ევროპელთა 44% ავტომობილს ან მოტოციკლს, ხოლო 39% თვითმფრინავს ირჩევდა. თითქმის ყველა ქვეყანაში გამოკითხულ დამსვენებელთა მხოლოდ 14%-მა დაჯავშნა ავიაბილეთები და სასტუმროები ტურისტული სააგენტოების მეშვეობით.
10%-მა მზა ტურისტული საგზურები შეიძინა.
გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა თვითონ დაგეგმა მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხები. ასეთ დამსვენებელთა ყველაზე დიდი რიცხვი იყო თურქეთში (80%), ისლანდიაში (79%), ხორვატიაში (78%), რუმინეთსა (77%) და უნგრეთში (76%).
2011 წლის დასასვენებელი სეზონისათვის ევროპელთა გეგმები ასე განაწილდა: 38% აპირებს შვებულება მშობლიურ ქვეყანაში გაატაროს, ყოველი მეხუთე გეგმავს ევროკავშირის სხვა ქვეყანაში მოგზაურობას და მხოლოდ 16% -მა გამოთქვა არაწევრ სახელმწიფოში დასვენების სურვილი. საერთო არაფერი აქვს.

ევრობიბლიოთეკა

ევროპის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

Zoltán Horváth
Handbook on the European Union (Third edition)
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ენა: ინგლისური

Richard Corbett MEP, Francis Jacobs and Michael Shackleton
I'm the Perfect Enyoyment
გამომცემელი: John Harper
ენა: ინგლისური

ევროპალიტრა

ევროპის დროით

პოლონეთი ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა გახდა

2011 წლის ივლისიდან პოლონეთი ექვსი თვით ევროკავშირის საპრეზიდენტო ქვეყნის პოსტს ჩიაბარებს.
საყურადღებოა პოლონეთის პარლამენტარიზმის ისტორია 1228 წელს იწყება, როდესაც პრინცმა ლადიშლაუსმა სიეიას(სათათბირო ორგანოს) დაავალა კანონებზე მეთვალყურეობა. 1505 წელს პოლონეთის სეიმმა მიიღო კონსტიტუციური მნიშვნელობის დადგენილება - Nihil Novi (რაც ნიშნავდა: არაგითარი სიახლე ჩვენი თანხმობის გარეშე), რომლის მიხედვითაც მეფეს ეკრძალებოდა კანონის მიღება დეპუტატების თანხმობის გარეშე.
1791 წლის მაისში პოლონეთმა მიიღო კონსტიტუცია, რომელიც პირველი დაწერილი კონსტიტუცია იყო ევროპაში; კონსტიტუციური აქტი არეგულირებდა სახელმწიფო კანონმდებლობის ჩარჩოებს. 1919 წელს ჩატარდა საკანონმდებლო ორგანოს - სეიმის საყოველთაო არჩევნები, სადაც ხმის მიცემის უფლება ქალებსაც მიენიჭათ.
1921 წელს კონსტიტუციაში ჩაიდო ქალებსაც ხელისუფლების რესპუბლიკური ფორმირების პირობა; საკანონმდებლო ორგანოს მთავარი როლი მიენიჭა აღმასასრულებელ ხელისუფლებასთან შედარებით. შეიქმნა ორი პალატა: სეიმი და სენატი, პრეზიდენტის ადმინისტრაციული ძალაუფლების შეზღუდვით, გაიზარდა სამოქალაქო უფლებათა გარანტიები.
1935 წელს კონსტიტუციაში შეტანეს საპრეზიდენტო სისტემის ელემენტები, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს როლი მკვეთრად შეიზღუდა. 1947 წელს პოლონეთში კომუნისტური პარტიის დიქტატურა დამყარდა, რაც 1989 წლამდე გაგრძელდა.
1991 წელის ოქტომბერში პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარადა, 1997 წელს ეროვნულმა ასამბლეამ პოლონეთის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია მიიღო.
2002 წელს სეიმის მიერ მიღებული რეზულუციით დაიწყო სვლა ევროკავშირში გაწევრიანებისკენ, რაც 2004 წლის 1 მაისს წარმატებით დაგვირგვინდა.

ერასმუს მუნდუსის სტიპენდიები რაოდენობრივ ეკონომიკაში

ერასმუს მუნდუსი აცხადებს რაოდენობრივ ეკონომიკაში სამაგისტრო სტიპენდიების პროგრამას ეკონომიკასა ან მონათესავე მეცნიერებებში მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი წარჩინებული სტუდენტებისთვის. პროგრამის სახელწოდებაა „რაოდენობრივი ეკონომიკის მოდელები და მეთოდები“ (QEM). პროგრამა აერთიანებს შემდეგ ხუთ საერთაშორისო უნივერსიტეტს: ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი (ესპანეთი), ბილეფელდის უნივერსიტეტი (გერმანია), ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), პარიზის პანთეონ–სორბონის უნივერსიტეტი (საფრანგეთი) და ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია) . დაინტერესებულმა კანდიდატებმა ინგლისურ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული ინგლისური თარგმანითურთ PDF ფაილის ფორმატში ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ★ რეზიუმე (CV);
- ★ სამოტივაციო წერილი;
- ★ მინიმუმ ბაკალავრის დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ნიშნების ფურცელთან ერთად (მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში გავლილ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების ამსახველი დოკუმენტაცია);
- ★ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (TOEFL-სა ან IELTS -ის ოფიციალურ ტესტებში მიღებულ შეფასებათა დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
- ★ ორი სარეკომენდაციო წერილი;
- ★ საპასპორტო ზომის ფოტოსურათი სხვა დამატებით დოკუმენტაციასთან ერთად, რომლის გაგზავნასაც კანდიდატი ჩათვლის მიზანშეწონილად.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 31 ივლისი.
პარიზის სორბონის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამა „მათემატიკური მეთოდები ეკონომიკასა და ფინანსებში“

პარიზის პანთეონ–სორბონის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი წარჩინებული სტუდენტებისთვის სამაგისტრო სასწავლო პროგრამაში „მათემატიკური მეთოდები ეკონომიკასა და ფინანსებში“ (M1 – MMEF) მონაწილეობის მისაღებად.
პროგრამა ტარდება ინგლისურ ენაზე.
სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა (TOEFL ტესტის ოფიციალურ გამოცდაში მიღებული შეფასებები).
აღნიშნული დოკუმენტაციის გაგზავნა სავალდებულო არაა მათთვის, ვისაც მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში გავლილი აქვს ინგლისური ენის შემსწავლელი ოფიციალური სასწავლო კურსი.
დაინტერესებულმა კანდიდატებმა PDF ფორმატში, ელექტრონულად უნდა გაგზავნონ ინგლისურ ენაზე შედგენილი ან აღნიშნულ ენაზე თარგმნილი (ნოტარიულად დამოწმებული) შემდეგი დოკუმენტაცია:

- ★ განაცხადი ჩარიცხვის თაობაზე;
- ★ კანდიდატის პირადი ინფორმაციის, შეძენილი უმაღლესი განათლებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მიღებული აკადემიური ხარისხის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შემცველი რეზიუმე (CV);
- ★ სრულყოფილი სამოტივაციო განცხადება;
- ★ მინიმუმ ბაკალავრის დიპლომის ასლი ნიშნების ფურცელთან ერთად;
- ★ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (TOEFL გამოცდაში მიღებული შეფასებები);
- ★ ორი სარეკომენდაციო წერილი;
- ★ წინარესამაგისტრო (GRE) გამოცდაში მიღებული შეფასებების ამსახველი დოკუმენტაცია (სავალდებულო არ არის, მაგრამ სასურველია);
- ★ კვლევითი პროექტის თეზისები და გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 31 ივლისის დღის 12 საათი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებ–გვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N 32, ოთახი N 219–220, ტელ.: (832 229 47 11)

euinfocentre@parliament.ge

EU Information and Documents Centre
ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი საქართველოს პარლამენტში

FM 102.4
"ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად."

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **ევროპის დროით ირინა ცერცვაძესთან ერთად** საქართველოს რადიოს პირველი არხი

Konrad Adenauer Stiftung

კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

ნომერზე მუშაობდნენ:
ირინა ცერცვაძე, თეა ტარიელაშვილი
თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა

"ევროპის დროით"
ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ
www.parliament.ge/ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი